

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი

2011 წლის 24 ნოემბერი

გადაწყვეტილება № 1

**„ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 01 ნოემბრის № 1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2011 წლის 21 ნოემბრის № 81 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 01 ნოემბრის № 1 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

- პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნას დრამისა და კინოს სამსახიობო (მიზნობრივი ჯგუფი) – 5 ადგილი.

- დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობას დაემატოს 4 ადგილი და მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს - 12 ადგილით;

2. შეტანილ იქნას ცვლილება „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 01 ნოემბრის № 1 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტში, კერძოდ:

- ამოღებულ იქნას მე-4 პუნქტიდან დრამისა და კინოს სამსახიობოსათვის (მიზნობრივი ჯგუფი) გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ადგილები.

- დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის პროგრამული დაფინანსებისათვის ნაცვლად 2 ადგილისა, გამოიყოს 3 ადგილი;

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი

თ. მეიშვილი